



საჩუქრეთა წიგნი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

ხელმძღვანელობას

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის
31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისთვის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

18 მარტი, 2025 წელი

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ ანრი ოხანაშვილს

ბატონო ანრი,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. შედეგად, გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში და წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS (www.aris.sao.ge).

პატივისცემით,

ცოტნე ყავლაშვილი

გენერალური აუდიტორი

ტერმინები და შემოკლებები.....	3
1.რეკომენდაციები.....	4
2.ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები.....	10
3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა .	17
4.საკონტაქტო ინფორმაცია.....	19

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

აპარატი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

აღსრულების ეროვნული ბიურო – სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო.

დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტო – სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

ეროვნული არქივი – სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივი.

იუსტიციის სასწავლო ცენტრი – სსიპ – იუსტიციის სასწავლო ცენტრი.

იუსტიციის სახლი – სსიპ – იუსტიციის სახლი.

მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრი – სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი.

საკანონმდებლო მაცნე – სსიპ – საკანონმდებლო მაცნე.

საჯარო რეესტრი – სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

სერვისების განვითარების სააგენტო – სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

სსზასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

პენიტენციური დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახური.

ციფრული მმართველობის სააგენტო – სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტო.

1. რეკომენდაციები

1.1 მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და სხვა მოკლევადიანი აქტივები აღრიცხვა და კონტროლი

აუდიტის მიგნება

იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში – „მოკლევადიანი მიმდინარე დებიტორული დავალიანებები“ და „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივები“, ჯამურად – 101,531,404 ლარს შეადგენს. სამინისტროსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში გამოვლინდა მოთხოვნებთან დაკავშირებული სხვადასხვა გარემოება:

სამინისტროს აპარატის მიერ მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 86,700 ლარის დებიტორული დავალიანებიდან, 39,862 ლარის წარმოშობის დოკუმენტაცია არ იძებნება,¹ ხოლო 46,838 ლარის დავალიანება წარმოადგენს სხვადასხვა პერიოდის ინვენტარიზაციის შედეგად წარმოშობილ დანაკლისებს.

საჯარო რეესტრის მიერ მოთხოვნებში ასახულია 2011-2018 წლებში წარმოშობილი 916,480 ლარის² ოდენობის დავალიანება, რომლის მიღების ალბათობა დაბალია.³

მიზეზი

პირველადი დოკუმენტების არარსებობა, ხანდაზმული დავალიანებების რეალობის დადგენასთან და პირველადი დოკუმენტაციის მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები, ინვენტარიზაციის არასრულყოფილად ჩატარება და დავალიანებების დაფარვის ალბათობის შეუფასებლობა.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ და „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების“ მუხლებში არსებული უზუსტობები, ფინანსური დანაკარგების რისკი.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით მნიშვნელოვანია განხორციელდეს ხანდაზმული დებიტორული დავალიანებების რეალობის დადგენა, მათი ამოღების ალბათობის შეფასება, ხანდაზმულობის მიზეზების შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

¹ წარმოადგენს 2010 წლამდე წარმოშობილ დავალიანებას.

² მათ შორის, 2020-2021 წლებში შევიდა სასამართლო გადაწყვეტილება სააღსრულებლო საქმის წარმოებაზე, შპს „ფენიქსი“ - 58,800 ლარი; შპს „ჯი-ენ-ჯი ფროდაქშენი“ - 761,051 ლარი.

³ 2020-2021 წლებში ძალაში შევიდა სასამართლო გადაწყვეტილება თანხის ამოღებასთან დაკავშირებით. სააღსრულებო პროცედურების შედეგად დგინდება, რომ კომპანიები არ ფლობენ რეგისტრირებულ რაიმე სახის ქონებას, რაზეც განხორციელდებოდა იძულებითი სააღსრულებო მოქმედებები. აღსანიშნავია, რომ საინვენტარიზაციო კომისიის 2024 წლის 21 მარტის N10 ოქმის შესაბამისად, დაბალი ამოღების ალბათობის მქონე დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით შეიქმნა ანარიცხვები.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატი; სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

1.2 გამოუყენებელი ქონება

აუდიტის მიგნება

სამინისტროს, სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში გამოვლინდა ქონებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ნაკლოვანება, კერძოდ:

- 1) **სერვისების განვითარების სააგენტოსა და პენიტენციური სამსახურის** ფინანსურ ანგარიშგებაში, 2023 წლის საწყის და საბოლოო ნაშთებად უცვლელად ირიცხებოდა, შესაბამისად, 238,130 ლარის⁴ და 258,311 ლარის⁵ მატერიალური მარაგები, რომელთაგან შემდგომი სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი.
- 2) **საჯარო რეესტრის** ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 874,288 ლარის⁶ მარაგები, რომელთა გამოყენება არ იგეგმება და არც მომავალში გამოყენების პოტენციალი გააჩნიათ.
- 3) **სერვისების განვითარების სააგენტოს** დაუმთავრებელი მშენებლობის⁷ ანგარიშზე ირიცხება 2012-2016 წლებში წარმოშობილი 459,046 ლარის ღირებულების პროექტები.⁸ სააგენტო აღნიშნულ აქტივებს არ იყენებს და არც მათი სამომავლოდ გამოყენების გეგმა აქვს შემუშავებული.⁹
- 4) **პენიტენციური სამსახურის** ფინანსურ ანგარიშგებაში დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე ირიცხება 180,043 ლარის ღირებულების საპროექტო სამუშაოები,¹⁰ რომელიც არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, ვინაიდან სამსახური უძრავი ქონებით არ სარგებლობს.¹¹

⁴ დაბადების და ქორწინების მოწმობები, საბეჭდი მოწმობილობები და კარტრიჯები. საიდანაც, სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს 2024 წლის 26 ნოემბრის N843/ს და 2024 წლის 10 დეკემბრის N867/ს ბრძანებების საფუძველზე 153,737 ლარის მატერიალური მარაგი გადაეცა სსიპ - „ქონების ეროვნულ სააგენტოს“.

⁵ კარტრიჯები, სამკერდე ნიშნები 2024 წლის 28 დეკემბერს კომისიამ იმსჯელა აღნიშნული აქტივების ჩამოწერის თაობაზე, ხოლო 35,410 ლარის მეორადი დანიშნულის მატერიალური მარაგები, რომელიც ირიცხებოდა ჯარის სახით სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 19 სექტემბერის ბრძანების საფუძველზე გადაეცა სსიპ „ქონების ეროვნულ სააგენტოს“.

⁶ საჯარო რეესტრის 2024 წლის 5 ივლისის N1942/ს ბრძანებაში შესული ცვლილების (2025 წლის 4 დეკემბრის N3780/ს ბრძანებით) საფუძველზე განისაზღვრა 206,674 ლარის სსიპ „ქონების ეროვნულ სააგენტოზე“ გადასაცემი მატერიალური მარაგები, ხოლო, 3,375 ლარის მარაგი ჩამოიწერა ხარჯებში.

⁷ „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ მუხლი.

⁸ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები.

⁹ სააგენტოს განმარტებით, 2025 წელს განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები.

¹⁰ N12 პენიტენციური დაწესებულების სამშენებლო სამუშაოების პროექტი.

¹¹ სახელმწიფოს კუთვნილებამია.

- ჟ) პენიტენციური სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ძირითადი აქტივების“ ანგარიშზე ირიცხება 16 ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 596,085 ლარს.¹² აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებები ტექნიკურად გაუმართავ მდგომარეობაშია, ხოლო ნაწილი სამსახურის მიერ არ გამოიყენება.¹³
- ჟ) საჯარო რეესტრის ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 15 ერთეული 721,542 ლარის¹⁴ საბალანსო ღირებულების აქტივი, რომლებიც განხორციელებული ინვენტარიზაციის აქტის მიხედვით, ტექნიკურად გაუმართავი და მოძველებულია. შესაბამისად, სააგენტო მათ ვერ იყენებს და არსებობს გაუფასურების ნიშნები.
- ჟ) სერვისების განვითარების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება სხვადასხვა დასახელების 20 არამატერიალური აქტივი, საბალანსო ღირებულებით – 1,959,622 ლარი, რომლებიც არ გამოიყენება.

მიზეზი

არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, რათა დროულად გამოვლინდეს ისეთი აქტივები, რომელთა გამოყენება და მომავალი ეკონომიკური სარგებლის/მომსახურების პოტენციალის მიღება არ არის მოსალოდნელი.

გავლენა

ქონების შემდგომი გამოყენების და სარგებლის მიღების ალბათობა დაბალია, აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილად არის წარდგენილი.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის და აქტივების ეფექტიანი მართვის მიზნით, სამინისტროს სისტემაში შემავალმა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა განახორციელონ მომავალი გამოყენებისათვის უსარგებლო აქტივების იდენტიფიცირება და ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარ ქონებასთან მიმართებით, შეაფასონ მათი შემდგომი განკარგვის საუკეთესო ალტერნატივები.

¹² სამსახურის განმარტებით, 285,427 ლარის ისტორიული ღირებულების 8 ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით, მიმდინარეობს სსიპ „ქონების ეროვნულ სააგენტოსთვის“ გადაცემის პროცედურები.

¹³ 310,658 ლარის 8 ავტოსატრანსპორტო საშუალება ამოღებულია ექსპლუატაციიდან საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 24 ოქტომბრის N13/67562 წერილის საფუძველზე და სამსახურის მიერ არ გამოიყენება.

¹⁴ საიდანაც, 6 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს სასამართლო დავა, ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით. (სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას ავტოსატრანსპორტო საშუალებების სრული დაზიანებით, განადგურებით). ხოლო, 8 ერთეული 264,837 ლარის ისტორიული ღირებულების სატრანსპორტო საშუალება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს N 2873/ს, 2748/ს, 1237/ს, 1322/ს და 3999/ს ბრძანებების საფუძველზე 2024 წელს გადაეცა სსიპ „ქონების ეროვნულ სააგენტოს“.

1.3 ვალდებულებები

აუდიტის მიგნება

იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებების ჯამური ნაშთი 227,938,728 ლარს შეადგენს. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

აღსრულების ეროვნული ბიუროს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური ანგარიშგების მუხლში – „ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით“ ასახულია 168,854,501 ლარის ნაშთი. აღნიშნული მუხლი შედგება სააღსრულებო პროცედურების შედეგად ამოღებული და კრედიტორებისთვის გასანაწილებელი თანხებისა და გირაოს თანხებისგან.¹⁵ ვალდებულების აღრიცხვასთან დაკავშირებით ვლინდება შემდეგი გარემოებები:

-) 2,635,444 ლარის ოდენობით სადეპოზიტო ვალდებულების წარმოშობის წელი და კრედიტორების ვინაობა არ არის იდენტიფიცირებული. აღსრულების ეროვნული ბიუროს განმარტებით, აღნიშნული საკითხი უკავშირდება ბიუროს შექმნის დროს¹⁶ არსებულ აღრიცხვის პრობლემებს, რის გამოც ვერ ხერხდება ვერც კრედიტორების იდენტიფიცირება და შესაბამისად, ვერც – თანხების დაბრუნება.
-) ასევე, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობის გამო, სადეპოზიტო ვალდებულებების ბუღალტრულად აღრიცხვა არ წარმოებს ინდივიდუალურად, კრედიტორების მიხედვით. საბუღალტრო ანგარიშზე თანხების ზრდა და შემცირება აისახება ჯამურად. ნაშთები მოიცავს გირაოს თანხებს, სააღსრულებო პროცედურების შედეგად ამოღებულ და კრედიტორებისთვის გადასარიცხ, ასევე კანონმდებლობით დადგენილ ბიუროს მომსახურების საფასურის თანხებს. მათი ოდენობა დგინდება ამოღებული თანხების განკარგვის შესახებ დოკუმენტაციის საფუძველზე (საფასურის განკარგვის შესახებ მიმართვა), რომლის შედგენაც ხშირ შემთხვევაში ხორციელდება საანგარიშო წლის დასრულებამდე, რის საფუძველზეც ბიუროს საფასურის თანხით სადეპოზიტო ვალდებულების ანგარიში უნდა შემცირდეს და თანხა

¹⁵ ფულადი თანხა ან სხვა ფასეულობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს ან წინასწარი გამოძიების ორგანოს დეპოზიტზე შეაქვს ბრალდებულს.

¹⁶ 2008 წლის 1 ოქტომბერს.

აღიარდეს შემოსავლად. ობიექტის განმარტებით, მიმდინარეობის პროგრამის შემუშავება.¹⁷

მიზეზი

სააღრიცხვო სისტემაში არსებული ნაკლოვანებები.

გავლენა

იზრდება აღსარიცხავი ინფორმაციის სისრულესთან, სისწორესთან და ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული რისკები.

რეკომენდაცია

სადეპოზიტო ანგარიშებზე ჩარიცხული თანხების ოპერატიული და სრულყოფილი კონტროლის, ასევე შემოსავლების დარიცხვის მეთოდით მომზადების უზრუნველსაყოფად, აღსრულების ეროვნულ ბიუროში სრულყოფილად დაინერგოს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო.

1.4 შემოსავლები

აუდიტის მიგნება

იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში – „შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან“ შეადგენს 299,357,015 ლარს. აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

სერვისების სააგენტოსა და საჯარო რეესტრის სააგენტოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით, მათ მიერ 2023 წელს მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავლებმა, შესაბამისად, 115,565,915 ლარი და 137,327,285 ლარი შეადგინა.

სააგენტოებში არ არსებობს შესაბამისი სისტემა, რომლის მეშვეობითაც ინტეგრირებული იქნება ინფორმაცია მომხმარებლის მიერ წინასწარ გადახდილი საფასურების და ფაქტობრივად გაწეული მომსახურებების შესახებ, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვას და შექმნიდა კონტროლის მექანიზმს იმ მიზნით, რომ სააგენტოები დარწმუნდნენ მიღებული შემოსავლებისა და ავანსების სისრულეში.

სააგენტოს განმარტებით, სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტოს ჩართულობით, გაფორმებულია ხელშეკრულება¹⁸ იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებებისთვის ერთიანი საბილინგე სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით.

¹⁷ სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ.

¹⁸ შპს „ოლ ფეი ვეი“-სთან

მიზები

შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვასთან დაკავშირებული სირთულე.

გავლენა

იზრდება შემოსავლების სისრულესთან, სიზუსტესთან და ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული რისკები.

რეკომენდაცია

შემოსავლების აღრიცხვის სრულყოფის მიზნით სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ და სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყონ ისეთი IT სისტემის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვას, დარიცხვის მეთოდით.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების წილები უნდა აღირიცხოს კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს თვითღირებულებით აღრიცხული ინვესტიციების კორექტირებას, შემენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად.¹⁹

სსიპ – დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტოს 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 825,000 ლარის გრძელვადიანი ფინანსური აქტივები, რომელიც არ არის დაკორექტირებული კაპიტალ-მეთოდის შესაბამისად.²⁰

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

2.2 სრულად ამორტიზებული ძირითადი აქტივები

აუდიტის მიგნება

სტანდარტის²¹ შესაბამისად, „აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს მაინც უნდა გადაისინჯოს“ და თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები უნდა აისახოს როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება,²² რაც 2023 წელს არ განხორციელებულა.

2023 წელს აღნიშნული აქტივები ცვეთის დარიცხვის შედეგად, სრულად იქნა ამორტიზებული. აქტივები ორგანიზაციების მიერ კვლავ გამოიყენება, კერძოდ:

ცხრილი N3. აქტივების²³ ისტორიული ღირებულება, რომლებიც სრულად გაიცვითა 2023 წელს (ლარი)

დასახელება	ისტორიული ღირებულება
სპეციალური პენიტენციური სამსახური	13,229,987
სსიპ - სერვისების განვითარების სააგენტო	4,987,109
სსიპ- აღსრულების ეროვნული ბიურო	1,746,743
სსიპ - იუსტიციის სახლი	1,683,147
სულ:	21,646,986

¹⁹ სსბას 36, მუხლი 8.

²⁰ 2024 წლის დასაწყისში დაიწყო შპს „პერსპექტივის“ სალიკვიდაციო პროცედურები.

²¹ სსბას 17, პუნქტი 67.

²² სსბას 3, 41-ე - 42-ე პუნქტები.

²³ შენობა-ნაგებობები, სხვა დანარჩენი მანქანა-დანადგარები და ინვენტარი და სატრანსპორტო საშუალებები.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსდ - სპეციალური პენიტენციური სამსახური; სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო; სსიპ - იუსტიციის სახლი.

2.3 ძირითადი აქტივების ცვეთა

აუდიტის მიგნება

საჯარო რეესტრში ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია არასწორი კლასიფიკაციის გამო ცვეთის დარიცხვის შედეგად განულებული აქტივები, რომელთა ისტორიული ღირებულება შეადგენს 581,385 ლარს და საჭიროებს რეკლასიფიკაციას „მცირეფასიანი აქტივის“ ანგარიშზე.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

2.4 ნულოვანი ღირებულებით აღრიცხული ძირითადი აქტივები (ქონება)

აუდიტის მიგნება

სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წელს ნულოვანი ღირებულებით ირიცხება 8,082,896 ლარის ისტორიული ღირებულების ძირითადი აქტივი.²⁴

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო.

2.5 ძირითადი აქტივების გადაფასება

აუდიტის მიგნება

სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთეულების მიერ²⁵ 2022-2023 წლებში გადაფასდა სატრანსპორტო საშუალებები და აისახა ფინანსურ ანგარიშგებაში. ორგანიზაციები ყოველწლიური სასარგებლო მომსახურების ვადების გადასინჯვის ნაცვლად, იყენებენ ძირითადი აქტივების გადაფასების მოდელს,²⁶ რაც შეუსაბამოა აღრიცხვის ინსტრუქციასთან.²⁷ სპეციალურმა პენიტენციურმა

²⁴ კომპიუტერული ტექნიკა და სასერვერო ინფრასტრუქტურა. სააგენტოს განმარტებით, წლების წინ განუღდა ცვეთის დარიცხვის შედეგად და არის მუშა მდგომარეობაში, თუმცა ამ ეტაპზე არ არის აქტიური გამოყენების პირობებში, რადგან ჩანაცვლებულია ახალი ინვენტარი,

²⁵ საჯარო რეესტრი, პენიტენციური სამსახური, აღსრულების ეროვნული ბიურო, სერვისების განვითარების სააგენტო.

²⁶ ამასთანავე, სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები გადაფასების მოდელს იყენებს განსხვავებული მიდგომით.

²⁷ სსბასს 17-ის მიხედვით, ერთეულს შეუძლია აირჩიოს თვითღირებულების მოდელსა და გადაფასებულ ღირებულების მოდელს შორის ერთ-ერთი. ამ უკანასკნელის არჩევა დაშვებულია მაშინ, როცა სამართლიანი ღირებულების შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი. თუ გადაფასების მოდელის შერჩევა მოხდა, გადაფასება გამოყენებული უნდა იყოს ძირითად აქტივთა მთელი კლასის მიმართ. შენიშვნა: „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე, ფინანსური

სამსახურმა 2023 წელს განახორციელა თავის მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გადაფასება, რის შედეგადაც აქტივების ღირებულება გაიზარდა 4,829,219 ლარით.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტრო.

2.6 არამატერიალური აქტივები

აუდიტის მიგნება

სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა წარმოების არამატერიალურ აქტივებზე²⁸ არ არის შემუშავებული ხარჯების კაპიტალიზების სააღრიცხვო პოლიტიკა. შიდა წარმოების პროგრამული უზრუნველყოფები არ არის შეფასებული და ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

ციფრული მმართველობის სააგენტოს ანგარიშგებაში ნულოვანი ღირებულებით ირიცხება არამატერიალური აქტივები, რომელთა ისტორიული ღირებულება 6,741,913 ლარია და ცვეთის დარიცხვის შედეგად განულდა წლების წინ, არ მომხდარა აღნიშნული აქტივების მომსახურების ვადების გადასინჯვა, ხოლო 116,348 ლარის განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე აქტივები არ არის შემოწმებული გაუფასურებაზე,²⁹ რის გამოც შესაძლოა არასწორად იყოს წარმოდგენილი არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება 90,470 ლარის გამოუყენებელი არამატერიალური აქტივი, ხოლო 2023 წელს შესყიდული 3 წლის მომსახურების ვადის მქონე 1,595,000 ლარის ლიცენზიის³⁰ სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 10 წელი, რაც არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

საჯარო რეესტრის 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხული 7,398,697 ლარის არამატერიალური აქტივებიდან ცვეთა არ ერიცხება 3,340,824 ლარის³¹ ღირებულების აქტივებს. შიდა წარმოების პროგრამული უზრუნველყოფები არ არის შეფასებული³² და ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. შესაბამისად, არ არის განსაზღვრული მომსახურების ვადები და არ ერიცხება ცვეთა.

აღსანიშნავია, რომ სააგენტომ 2023 წლის 29 დეკემბრის 3516/ს ბრძანებით დაამტკიცა სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც მოიცავს არამატერიალურ

აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანების მიხედვით, რეკომენდებულია მხოლოდ თვითღირებულების მოდელის გამოყენება.

²⁸ 117 სხვადასხვა დასახელების არამატერიალური აქტივი.

²⁹ სსბასს 21, მუხლი 26^ბ; სსბასს 31 - მუხლი 87.

³⁰ ცენტრალიზებულად ვიდეონაკადების მენეჯმენტისთვის პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები.

³¹ ცვეთა ერიცხება მხოლოდ მსოფლიო ბანკის პროექტით დაფინანსებით შეძენილ 4,057,873 ლარის არამატერიალურ აქტივებს.

³² სააგენტოს განმარტებით, 2024 წელს არამატერიალური აქტივები შეფასებულია აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ.

აქტივებთან დაკავშირებით, აღრიცხვისა და შესაბამისი პროცედურების წარმოების წესს.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტო; სსდ - სპეციალური პენიტენციური სამსახური; სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

2.7 განმარტებითი შენიშვნები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილია ინფორმაცია სამინისტროს სისტემაში შემავალი ორანიზაციების სასამართლო დავების შესახებ, გარდა **საჯარო რეესტრის, იუსტიციის სახლისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის**³³ სასამართლო დავებისა. სამინისტროში არ არის შემუშავებული ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა.³⁴

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტრო.

2.8 სააღრიცხვო სისტემა

აუდიტის მიგნება

საჯარო რეესტრის სააგენტოს მატერიალური მარაგები და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ბუღალტრულად ჩამოიწერება სინთეზურად, ანალიზური აღრიცხვა სპეციალიზებული აღრიცხვის სისტემის ნაცვლად, წარმოებს Microsoft Excel-ის გამოყენებით. სააგენტოს არ აქვს ლოჯისტიკური აღრიცხვის შესაბამისი პროგრამა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობების სრულყოფილ აღრიცხვას, იდენტიფიცირებას და კონტროლს.³⁵

³³ „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 18 აპრილის N7301 ბრძანებას, 2024 წლის 23 ივლისის N18411 ბრძანებით შესული ცვლილებით, დამატა ანარიცხების, პირობითი ვალდებულებებისა და პირობითი აქტივების ასახვასთან დაკავშირებით მუხლი.

³⁴ სსბასს 19 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები, პუნქტი 100.

³⁵ აღრიცხვა წარმოებს MS Excel-ში, რაც ვერ უზრუნველყოფს მარაგების იდენტიფიცირებას. სააგენტოს განმარტებით, 2024 წელს აღიცხვა

სამინისტროს აპარატს 2023 წელს არ გააჩნდა ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა. სააღრიცხვო ინფორმაციის დასამუშავებლად ჩანაწერების წარმოება ხორციელდებოდა პროგრამა MS Excel-ის გამოყენებით, რაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან დაკავშირებული კონტროლის ნაკლოვანებაა და ზრდის ადამიანური შეცდომით გამოწვეული უზუსტობის რისკს. სამინისტროს აპარატის განმარტებით, განხორციელდა ბუღალტრული პროგრამის შესყიდვა და მიმდინარეობს მის დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაოები.

დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტოს საბუღალტრო და სასაწყობო აღრიცხვის პროგრამის მონაცემების შედარებისას გამოვლინდა სხვაობები მატერიალური და მცირეფასიანი აქტივების ნაშთებს შორის.³⁶

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატი; სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

2.9 საკასო მეთოდით აღრიცხვა

აუდიტის მიგნება

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე პროექტს – „მიწის ბაზრის განვითარება“ განმახორციელებელია **საჯარო რეესტრის სააგენტო**. აღსანიშნავია, რომ დონორების პროექტის ფარგლებში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება საკასო მეთოდით³⁷ და არ შეესაბამება საბიუჯეტო ორგანიზაციების აღრიცხვის ნორმებს.³⁸

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

დაწყებულია საწყობის სპეციალიზებულ პროგრამაში.

³⁶ სასაწყობო პროგრამა სახელწოდებით - INFINATI-ში.

³⁷ საკასო მეთოდი - ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, რომლის თანახმადაც ოპერაციებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხორციელდება ფულადი სახსრების ან მისი ეკვივალენტის მიღება/გადახდა.

³⁸ ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“. სააგენტოს განმარტებით, 2024 წელს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით მიმდინარეობს, კერძოდ, ბუღალტრული გატარება საოპერაციო პერიოდის მიხედვით ხორციელდებოდა.

2.10 კლასიფიკაციის ხარვეზები

აუდიტის მიგნება

იუსტიციის სახლის ფინანსურ ანგარიშგებაში 82,724,871 ლარის ღირებულების შესრულებული სამუშაოები ასახულია დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე.³⁹ აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სახლი ექსპლოატაციაში დღემდე არ არის მიღებული.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – იუსტიციის სახლი.

2.11 ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაცია წარმოადგენს კონტროლის მექანიზმს, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა აქტივი სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ინვენტარიზაციის სრულყოფილად განხორციელება მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისთვის, აქტივების ეფექტიანი განკარგვისა და შიდა კონტროლის გასაუმჯობესებლად.

სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში 2023 წელს ინვენტარიზაციის პროცესი მიმდინარეობდა ნაკლოვანებებით, კერძოდ:

აუდიტის მიგნება

საჯარო რეესტრის 2023 წელს დაწყებული ინვენტარიზაციის შედეგების ოქმების⁴⁰ მიხედვით, გამოვლინდა 742,570 ლარის⁴¹ დანაკლისი,⁴² ხოლო 225,837 ლარის მატერიალური მარაგების⁴³ ანგარიშზე არსებული, არასწორი კლასიფიკაციის შედეგად, ხარჯებში ჩამოწერილი აქტივები საჭიროებს რეკლასიფიკაციას.⁴⁴

³⁹ თბილისის იუსტიციის სახლი.

⁴⁰ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 21 სექტემბრის N2295/ს ბრძანების საფუძველზე შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის აქტი.

⁴¹ მათ შორის, მატერიალური მარაგების ანგარიშზე არსებული და ხარჯებში ჩამოწერილი „მცირეფასიანი აქტივის“ დანაკლისმა შეადგინა 118,253 ლარი.

⁴² საოფისე ავეჯი და მოწყობილობები.

⁴³ საოფისე აღჭურვილობა (უწყვეტი კვების წყაროები, პრინტერები, ნოუტბუქის აქსესუარები).

⁴⁴ 2024 წელს სააგენტომ განახორციელა მატერიალური მარაგების ანგარიშზე არსებული, ხარჯებში ჩამოწერილი აქტივების რეკლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

ასევე, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია სხვაობა ბუღალტრულ და ფაქტობრივ მონაცემებს შორის. კერძოდ, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია და 1,096,488 ლარის⁴⁵ ძირითადი აქტივების⁴⁶ და 3 ერთეული – ნულოვანი ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალების დანაკლისი და სხვადასხვა დასახელების არაიდენტიფიცირებადი ზედმეტობა.⁴⁷

ინვენტარიზაციის შედეგები არ იქნა გათვალისწინებული 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

- სამინისტროს აპარატში 2023 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად „ძირითადი აქტივების“ ანგარიშზე გამოვლინდა 60 ერთეული სხვადასხვა დასახელების „სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ ზედმეტობა, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება ნულოვანი⁴⁸ ღირებულებით.
- დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტოში ჩატარებული ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია შემდეგი გარემოებები:

სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 5 შენობა და 2 ერთეული მიწის ნაკვეთი,⁴⁹ ჯამური საბალანსო ღირებულებით – 274,013 ლარი, ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარებს კრიტერიუმს,⁵⁰ ხოლო ერთი შენობა, რომელსაც ღირებულება არ გააჩნია,⁵¹ ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარია.⁵²
- იუსტიციის სახლი – საჭიროა ორგანიზაცია ფლობდეს და აღრიცხავდეს აქტივებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მინიჭებული საინვენტარო ნომრის ან შტრიხკოდის შესახებ, რომელიც არ ჰქონდა მინიჭებული აქტივების 63%-ს;

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატი; სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო; სსიპ – იუსტიციის სახლი;

⁴⁵ „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ – დანაკლისის საბალანსო ღირებულება შეადგენს – 902,701 ლარს, ხოლო „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ – არასწორი კლასიფიკაციის შედეგად ცვეთით განულებული – დანაკლისის საბალანსო ღირებულება – 193,787 ლარს.

⁴⁶ პერსონალური კომპიუტერის კომპლექტები (სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი), ნოუტბუქები, კონდიციონერები, კომპიუტერი, საოფისე ტექნიკა, ავეჯი და ა.შ

⁴⁷ „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“-ს კატეგორიის 6,117 ერთეული აქტივი, რომელთა წარმომავლობა ვერ დგინდება.

⁴⁸ კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი და ელექტრომოწყობილობა.

⁴⁹ 34,439 კვ.

⁵⁰ სააგენტოს განმარტებით, 2024 წელს მოხდა აღნიშნული შენობებისა და მიწის ნაკვეთების ჩამოწერა.

⁵¹ აღნიშნულის შესახებ მოხსენიებულია 2019 წლის ინვენტარიზაციის ოქმში, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის წარდგენილია შიდა აუდიტის დეპარტამენტში 2020 წლის 29 იანვარს N 9412 მოხსენებითი ბარათით.

⁵² შენობა რომლის ფართიც შეადგენს 2162.74 კვ.მ-ს დანგრეულია.

3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით მნიშვნელოვანია, რომ ყოველწლიური ინვენტარიზაციის საფუძველზე დადგინდეს ხანდაზმული დებიტორული დავალიანებების რეალობა, მათი ამოღების ალბათობის შეფასება, ხანდაზმულობის მიზეზების შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო – ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	აქტივების დაცულობის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების სრული და ზუსტი აღრიცხვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია საჯარო რეესტრმა შეიმუშაოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც განაპირობებს მატერიალური მარაგების და ძირითადი საშუალებების სათანადო ანალიზურ აღრიცხვას და მინიმუმამდე შეამცირებს შეცდომების რისკს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო – ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	შემოსავლების აღრიცხვის სრულყოფის მიზნით სერვისების განვითარების სააგენტომ უზრუნველყოს ისეთი IT სისტემის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვას დარიცხვის მეთოდით.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	სსიპ – სერვისების განვითარების სააგენტო – ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია იუსტიციის სამინისტრომ და დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მორგებული იქნება კონკრეტული ობიექტის საქმიანობის სპეციფიკას და უზრუნველყოფს განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო – შესრულებული; სსიპ – იუსტიციის სახლი – შესრულებული; სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო – შესრულებული; სპეციალური პენიტენციური სამსახური – შესრულებული.

რეკომენდაცია	სამინისტრომ და მისი მმართველობის სფეროში შემავალმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ საწვავის ხარჯვის აგაი სისტემისგან დამოუკიდებელი კონტროლის მექანიზმის შემუშავება.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატი – შესრულებული; სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო – შესრულებული.
რეკომენდაცია	მნიშვნელოვანია, რომ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ დანერგოს და გააუმჯობესოს სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საპროექტო/ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის მომზადებისა და მშენებლობის პროცესში არსებული რისკების შემცირებას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	სსიპ – აღსრულების ეროვნულმა ბიურო – შესრულებული; სპეციალური პენიტენციური სამსახური – შესრულებული.
რეკომენდაცია	მარაგების სათანადო დაცულობისა და მართვის მიზნით, მნიშვნელოვანია პენიტენციურმა სამსახურმა გააუმჯობესოს არსებული კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მედიკამენტების შემოსავალში მიღების და ხარჯებში ჩამოწერის ოპერაციების თანმიმდევრულ აღრიცხვას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	სპეციალური პენიტენციური სამსახური – ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	სადეპოზიტო ანგარიშებზე ჩარიცხული თანხების ოპერატიული და სრულყოფილი კონტროლის, ასევე შემოსავლების დარიცხვის მეთოდით მომზადების უზრუნველსაყოფად, აღსრულების ეროვნულ ბიუროში სრულყოფილად დაინერგოს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო – მიმდინარე.
რეკომენდაცია	აღსრულების ეროვნულმა ბიურომ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აღმასრულებლის მიერ ჩარიცხული საფასურის დროულ აღრიცხვას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო – მიმდინარე.

4. საკონტაქტო ინფორმაცია

**გაცემული
რეკომენდაციების
შესრულების
მონიტორინგის
პროცესზე
პასუხისმგებელი
პირი**

ანა ზავრაშვილი

ელფოსტის მისამართი: AZavrashvili@sao.ge

**სახელმწიფო
აუდიტის სამსახურის
რეკომენდაციების
შესრულების
მონიტორინგის
სისტემა**

<https://aris.sao.ge/>

**ვებგვერდი და
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>

<https://www.budgetmonitor.ge/ka>

<http://www.blog.sao.ge/>

<http://www.sai.ge/main/>

<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>

<https://www.youtube.com/user/saogeorgia>

<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE